1 აგვისტო

რიგითი ჟამის XVII კვირა [I]

პარასკევი
2025

წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი, ეპისკოპოსი, რედემპტორისთა დამაარსებელი, ეკლესიის მოძღვარი, +1787 ნოჩერა დეი პაგანიში (იტალია), (მ), თ

ლევ 23,1.4-11.15-16.27.34-37; ფს 80; მთ 13,54-58

ვანა ეს ხეროსს ძე არაა? მთ 13,55

იესოს თანასოფლელები ფიქრობენ, რომ კარგად იცნობენ მას, არადა, ზედაპირულია მათი ცოდნა. იესო მათ შორის, როგორც ხურო, ისე ცხოვრობდა; ერთგულად დადიოდა შაბათს სინაგოგაში, მორჩილების და სიწმინდის მაგალითს იძლეოდა სოფლად. მხოლოდ თავმდაბლებზე ბოძებული სულიწმიდის შემწეობით შეიცნეს იესო, ვითარცა ემანუელი – ღმერთი ჩვენთან არს.

2 აგვისტო

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XVII კვირა [I], მწ

წმ. ევსები, ვერჩელის ეპისკოპოსი, +371;
წმ. პეტრე ივლიანე ეიმარდი, ხუცესი, წმ. საიდუმლოს მღვდელთა და მონაზონ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1868 ლამურში (საფრანგეთი);
(20.VII) წმ. სალომე ქართველი, წამებული, +~1227

ლევ 25,1.8-17; ფს 66; მთ 14,1-12

ელაპარაკა უფალი მოსეს სინას მთაზე ლევ 25,1

ღმერთი მოსეს, თავის ერთგულ მსახურს ელაპარაკება, რა დროსაც აძლევს დავალებას, რომ ხალხს მიუტანოს თავისი ჭეშმარიტების «ათი სიტყვა». ეს სიტყვები, გააზრებული და განსჯილი, სიხარულისა და სიმშვიდის მომგვრელია ყოველი კაცისთვის. დღეს ღმერთი ეკლესიიდან გვესაუბრება თავისი მსახურების პირით, რომლებიც იესოს ნებას გვიცხადებენ. მადლობას გწირავთ ამისათვის!

ეკლ 1,2; 2,21-23; ფს 89; კოლ 3,1-5. 9-11; ლკ 12,13-21

დაიცავით თავი ყო-ველი ანგარებისაგან ლკ 12,15

ამ სიტყვებზე ერთი ამბავი მახსენდება, რასაც ერთი ნათესავი მიყვებოდა თავის ძმებთან სამკვიდრო ქონების გაყოფაზე. საბოლოოდ, როცა ყველაფერი მშვიდობიან შეთანხმება-მდე მივიდა, მან უარი თქვა მთის აგარაკზე. მატერიალურისგან განდგომა, ჩემთვის ცხა-დად მეტყველებდა ღმერთის სასუფევლის მიმართ მის ძლიერ სიყვარულზე.

4 აგვისტო

ორშაბათი

2025

რიგითი ჟამის XVIII კვირა [II]

წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუცესი,
არსელი კიურე, +1859, (მ), თ

რიცხ 11,4-15; ფს 80; მთ 14,13-21

აქ მოგიტანეთ მთ 14,18

ეს ხუთი პური მოწაფეთა ანგარიშებზე, უნარებსა და მსჯელობაზე რომ მიმდგარიყო საქმე, არარაობად დარჩებოდა. ხოლო იესოსთან მიტანილი და მისგანვე ბოძებული, დიდძალ ხალხს აპურებს და მოციქულებს მორჩათ კიდეც: ეს პური იმ ევქარისტიული პურის საწინდარია, რასაც იესო თავის ეკლესიაში აღასრულებს.

5 აგვისტო

სამშაბათი
2025

წმ. მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა

რიცხ 12,1-13; ფს 50; მთ 14,22-36

უდის საკრებულოს დღეობა მთაში

მთელ რემს სახლში მოსე არის ერთგული

რიცხ 12,7

ღმერთი იცავს მოსეს, თავის ერთგულ და
თვინიერ მსახურს, საკუთარი და-ძმის, აარო-
ნისა და მარიამის გაკიცხვისა და შურისაგან.
ეს ფაქტი მასში დიდ ძვრებს ახდენს, რაც
მონანიებაში ეხმარება.
გმადლობთ, კეთილო და მართალო მამავ.
მოდით, სიკეთით გამოვიყენოთ გამოსყიდვის
იუბილე და მივმართოთ იქითკენ, რომ ურ-
ყევი და ლაღი იყო ჩვენი მონანიება.

6 აგვისტო

ოთხშაბათი
2025

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი, მონაზონი, +1041

დან 7,9-10.13-14 ან, 2პეტ 1,16-19; ფს 96; ლკ 9,28-36

დ. მარიეტ დეროშეს გახსენება (+2022)

როცა ლოცულობდა
მისმა სახემ ფერი იცვალა ლკ 9,29

რვა დღით ადრე აუწყა იესომ თავისი ვნება, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა. იგი გრძნობდა მამასთან ურთიერთობის აუცილებლობას და მოციქულებსაც სჭირდებოდათ სიცხადე. სწორედ ლოცვის დროს მიხვდნენ ისინი, რომ მოძღვარი არა მხოლოდ სრულყოფილი ადამიანია, არამედ ჭეშმარიტი ღმერთიც: “ლოცვისას სახის ფერი იცვალა, ხოლო სამოსი მისი გახდა სპეტაკი და ელვარე”.

7 აგვისტო

რიგითი ჟამის XVIII კვირა [II], მწ

წმ. ქსისტე II, პაპი და მისი მეგობრები, წამებულნი რომში, +258; / წმ. კაეტანე, ხუცესი, თეატინელთა დამაარსებელი, +1547 ნეაპოლში

რიცხ 20,1-13; ფს 94; მთ 16,13-23

ვამო-ეცხადათ დიდება უფლისა *რიცხ 20,6*

მოსე და აარონი ლოცვად განერთხნენ: ხალხი მრისხანებს მათზე, რამეთუ უდაბნოში უწყლობის გამო წყურვილს ვერ იკლავენ. "უფლის დიდება გამოეცხადა მათ": წყალი კლდიდან გადმოიღვარა. ხალხიც სწავლობდა, თანდათანობით, ღმერთის სიახლოვის გამოცდილებას და მასზე მინდობას.

8 აგვისტო

რიგითი ჟამის XVIII კვირა [II]

პარასკევი

2025

წმ. დომენიკე, ხუცესი, მქადაგებელ ძმათა დამაარსებელი, +1221 ბოლონიაში, (მ), თ

რჯლ 4,32-40; ფს 76; მთ 16,24-28

ვისაც უნდა, რომ მომყვეს... მთ 16,24

... ერთხელაც დადგება ის დღე, როდესაც დაკარგავს საკუთარ ცხოვრებას, საკუთარ ჩვევებს იმისათვის, რომ იესოს მიუძღვნას, განუდგება მათ, რათა სხვა მოყვასმა შეძლოს მისი სიყვარულის მიღება და ერთად შეიგრძნონ მისი ტკბილი ჩვენთან და ჩვენთვის ყოფნა. იესო, მინდა გამოგყვე შენ!

9 აგვისტო

შაბათი

2025

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა (ედიტ შტაინი), კარმელიტელი, ქალწული და წამებული, ევროპის მფარველი, +1942 ოსვენციმში, დ, [ს], წ

ოს 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

საუკუნოდ დაკნინდავ რემთვის ოს 2,21

წმინდაო ტერეზა ბენედიქტა ჯვრისა, შენ გულით ერწმუნე უფლის ამ აღთქმას, შენი მამების ღმერთის დაპირებას. თანხმობა განუცხადე და ერთგულად იმეორებდი, ვიდრე მთელს შენს სიცოცხლეს არ შესწირავდი ოსვენციმში. ევედრე ჩვენთვის, რათა ლამპარი ჩვენი უფლისმიერი რწმენისა და სიყვარულისა კვლავაც ღვიოდეს ევროპაში ამ რთულ ჟამს.

აგვისტო

[წმ. ლავრენტი, დიაკონი, წამებული რომში, +258]
[(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი, +1029]

სიბრძ 18,6-9; ფს 32; ებრ 11,1-2.8-19; ლკ 12,32-48

თქვენმა მწყალობელმა მამამ მოგისურვა თქვენთვის სასუფევლის მოცემა ლკ 12,32

თქვენ, ვინც ძეობრივი სულით ენდობით
მას; თქვენ, ვინც გულუხვად გასცემთ,
მომხვეჭელობის გარეშე; თქვენ, ვინც
ერთგულებით ამჟღავნებთ მის სიყვარულს
მოყვასთა მსახურებაში! მეც მათ შორის რომ
ვიყო, მივიღებ შენს დღევანდელ მოხმობას,
იესო, და შენს სიტყვასა და შენს პურს
ვეზიარები ევქარისტიულ ტრაპეზზე.

11 აგვისტო

ორშაბათი
2025

რიგითი ჟამის XIX კვირა [III]

(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. +550 (მ), წ;
წმ. კლარა ასიზელი, ქალწული, უპოვარ დედათა,
ანუ კლარისათა დამაარსებელი, +1253, (მ), თ

რჯლ 10,12-22; ფს 147; მთ 17,22-27

უფლის, შენი ღმერთისაა ქანი *რჯლ 10,14*

ღმერთის სახელით მოუწოდებს მოსე ხალხს, რომ დარჩნენ მისი ერთგულნი და მიბაძონ სიყვარულში. ასევე მოგვიწოდებენ პაპი და ეპისკოპოსები, თავიანთი სამწყსო მსახურებით ქრისტიანებს, ღმერთის ახალ ერს, რათა გულმოდგინედ გავყვეთ იესოს ლოცვასა და სათნოებაში.

12 აგვისტო

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის XIX კვირა [III], მწ

წმ. იოანა ფრანცისკა დე შანტალი, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, ანესიში ვიზიტაციის დედათა დამაარსებელი, +1641 მულენში (საფრანგეთი)

რჯლ 31,1-8; საგ. რჯლ 32, 3-4.7-9.12; მთ 18,1-5.10.12-14

უფალი შენი ღმერთი მოდის შენთან ერთად

რჯლ 31,6

ასოცი წლის ასაკში მოსე ზრუნავს იმაზე, რომ თავის ერთგულ მოწაფეს – იესო ნავეს ძეს გადასცეს წინამძღოლობის მისია. ამხნევებს ღმერთის ერთგულებაში, განსაცდელის ჟამს სიმტკიცეში, რამეთუ უფალი თავის ხალხს არ მიატოვებს და საფრთხეში მყოფს დაეხმარება. ამიტომაც დასძენს: "ნუ შეგეშინდება და ნუ შეძრწუნდები".

13 აგვისტო

ოთხშაბათი
2025

(31.VII) წმ. არსენ ნინოწმინდელი, ეპისკოპოსი, +1018;
წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუცესი, წამებულნი სარდინიაში, +~235

რჯლ 34,1-12; ფს 65; მთ 18,15-20

დაასხა მოსემ ხელები მას *რჯლ 34,9*

ამ ჟესტით გადასცა მოსემ იესო ნავეს ძეს
თავისი ხალხის წინამძღოლობის მისია. იგივე
ჟესტს მიმართავდა იესო სნეულებზე, ბავ-
შვებსა და მოწაფეებზე, ამჯერად კი, ეკლესია
ასხამს ხელს და აკურთხებს.
ერთ მღვდელს ვიცნობ, რომელიც მშობლე-
ბის სახლიდან გამოსვლისას, მსგავსი ჟესტით
იღებდა მათგან ლოცვა-კურთხევას.

14 აგვისტო

ხუთშაბათი
2025

რიგითი ჟამის XIX კვირა [III]

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე, ხუცესი, კონვენტუალი მინორი ძმა, წამებული, +1941 ოსვენციმში, (მ), წ

იესო 3,7-10.11.13-17; ფს 113A; მთ 18,21 - 19,1.

საღამოს, მარიამის ზეცად აღყვანების დიდდღესასწაულის ღამისთევის წირვა:

1 ნეშტ 15,3-4.15-16; 16,1-2; ფს 131; 1კორ 15,54-57; ლკ 11,27-28

ამით ვაიგებთ, რომ ცოცხალი ღმერთია
თქვენს შორის იესო 3,10

ისრაელიანები, რომლებიც აღთქმულ მიწაზე აპირებენ შესვლას, ეგვიპტიდან გამოსვლის დროს მიღებულ გამოცდილებას აცოცხლებენ. მაშინ მეწამული ზღვის წყლები გაიყო, ახლა კი მდინარე იორდანე. მათ მეგზურობას უწევდა ცოცხალი ღმერთი. იგივე ღმერთი დღეს ეკლესიასთან ერთად მიაბიჯებს: ემანუელი, მკვდარი და აღმდგარი იესო ნაზარეველი.

15 აგვისტო

პარასკევი
2025

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

გამოცხ 11,19;12,1-6.10; ფს 44; 1კორ 15,20-27; ლკ 1,39-56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა; უდის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა ლკ 1,42

ჭეშმარიტად, "კურთხეულია ნაყოფი მუცლისა შენისა", ქალწულო მარიამ! დღეს, სიხარულით აღვსილნი ჭვრეტთ შენდამი იესოს უსაზღვრო სიყვარულს: სულითა და ხორცით გიღებს თავისი სამეფოს დიდებაში, თავის მარადიულობას გაზიარებს. ისევ გვაჩვენებს შენში აღსრულებულ საქმეს, რასაც თითოეულ ჩვენგანზე ისურვებდა.

16 აგვისტო

შაბათი

2025

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების კათოლიკური საკათედრო ტაძრის კურთხევა, დდ (სამრევლოებში - დ), [ს], თ

წმ. სტეფანე, უნგრეთის მეფე, +1038; (3.VIII) წმ. რაუდენ მოწამე, +457

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 94; 1პეტ 2, 4-9; იო 4, 19-24

სხვა ეკლესიებში: 3მეფ 8,22-23.27-30; ან 1პეტ 2,4-9; ფს 94; იო 4,19-24

მიიყვანეს იესოსთან ბავშვები მთ 19,13

ეს უბრალო სიტყვებია, მაგრამ სიღრმისეულს აცხადებს: იესო შენ სრულებით არ ჰგავხართ სხვა «რაბინებს», შენ ბევრად მეტი ხარ. შენ არ წუხდები ბავშვებით, პირიქით, შენ მათთვის ხარ მამა, დედა, ძმა. აი, რატომაც მოჰყავთ მშობლებს თავიანთი შვილები შენთან; სურთ, რომ ილოცო მათთვის და დალოცო ისინი.

17 აგვისტო

კვირა

2025

რიგითი XX კვირადღე, «გ», [IV], მწ

იერ 38,4-6.8-10; ფს 39; ებ 12,1-4; ლკ 12,49-53

ნათლობით უნდა მოგინათლო ლკ 12,50

იცოდი, რომ სიტყვა ნათლობა – "ბაპტიძო" ბერძნულად ნიშნავს “შთაფვლას”? ისრაელიანები წყალში შთაფვლას სხვადასხვა მნიშვნელობას აძლევდნენ. ამიერიდან, იესო საკუთარ სისხლში შთაფვლაზე ფიქრობს, საიდანაც გადმოვა ქრისტიანული ნათლობის მადლი. ჩვენ, მონათლული ქრისტიანები, საბოლოოდ ჩაფლულნი ვართ მამის, ძისა და სულიწმიდის სიყვარულში და ამ სიყვარულით ვართ გაჟღენთილები.

18 აგვისტო

ორშაბათი
2025

მსჯ 2,11-19; ფს 105; მთ 19,16-22

მხოლოდ ერთია კეთილი

მთ 19,17

ერთმა მოხუცმა ქალბატონმა გამიმხილა თავისი მწუხარება, როგორი სუსტი, მოუთმენელი და პრეტენზიული იყო მის მიმართ, ვინც ასე რუდუნებით ზრუნავდა მასზე. ვურჩიე, რომ თავისი სიხარული ერთადერთ «სიკეთეზე» - იესოზე დაემყარებინა, სწორედ ისე, როგორც ეს მოახერხა მასთან ერთად ჯვარცმულმა «კეთილმა» ავაზაკმა.

19 აგვისტო

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის XX კვირა [IV], მწ

წმ. იოანე ოდი, ხუცესი,
ოდისტთა დამაარსებელი, +1680 კანში
(ნორმანდია, საფრანგეთი)

მსჯ 6,11-24; ფს 84; მთ 19,23-30

დაინახა გედეონმა, რომ ეს უფლის ანგელოზი იყო

მსჯ 6,22

გედეონი იმედგაცრუებული და საშინლად გამწყრალია: მისი ხალხი ფილისტიმელთა მონობაში იტანჯებოდა, დამცირებული და ჩაგრული. ნუთუ მართლაც ისრაელის მხსნელია მისი წინაპრების ღმერთი? ღმერთმაც არ დააყოვნა პასუხი: თავისი ანგელოზის მიერ მოუხმო მას, ღარიბი ოჯახის უმცროსს, რათა უფლის ძალმოსილებით გამოეხსნა თავისი ხალხი.

20 აგვისტო

ოთხშაბათი

2025

რიგითი ჟამის XX კვირა [IV]

წმ. ბერნარი, კლერვოს აბატი, ცისტერცენსი, ეკლესიის მოძღვარი, +1153, (მ), თ

მსჯ 9,6-15; ფს 20; მთ 20,1-16

მათაც თითო დინარი მიიღეს მთ 20,10

ეს იგავი უქმად მყოფ მუშაკებზეა, რომლებსაც ვენახში სამუშაოდ იხმობენ. დღის ბოლოს მეპატრონემ თითოეულს დინარი მისცა, მათაც, ვინც დღის სიმძიმე და სიცხე იტვირთა და ვინც უკანასკნელ საათს მივიდა სამუშაოდ. რა უცნაური «სამართლიანობა» აქვს ამ ბატონს! შევეცადოთ გავიგოთ «კეთილი ავაზაკის» თვალით. მან ხომ ბოლო წუთს შეიყვარა იესო და მასთან ერთად შევიდა სამოთხეში, იმ მოციქულების თანაბრად, რომლებიც მთელი ცხოვრება მის მსახურებაში იდგნენ.

21 აგვისტო

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის XX კვირა [IV]

წმ. პიუს X, პაპი, +1914 რომში, (მ), თ

მსჯ 11,29-39; ფს 39; მთ 22,1-14

მზადაა საქორწილო სუფრა მთ 22,8

უფალმა ყველაფერი მოიმოქმედა. სიყვარულის გულისთვის შეგვქმნა, განკაცდა, სიცოცხლე გაიღო სიკვდილზე და ცოდვაზე გამარჯვებით და საკუთარ სისრულეს გვაზიარა. რამხელა სიხარულია! ყველაფერი მზადაა, რომ მოგვენიჭოს სიცოცხლის სისრულე, ნამდვილი სიხარული, ძალა ყველა ვითარების გასამკლავებლად, თუნდაც ჯვრის სატარებლად, რამეთუ იესო, ვითარცა ერთგული ნეფე, ხედავს ჩვენს თავმდაბლობას, მზად არის ხელი ჩაგვჭიდოს და საკუთარ სიხარულში შეგვიყვანოს.

22 აგვისტო

პარასკევი

2025

ნეტ. ქალწ. მარიამ დედუფალი, (მ), თ

რუთ 1,1.3-6.14-16.22; ფს 145; მთ 22,34-40

ვარგავის ეკლესიის დღეობა

შეიყვარე უფალი ღმერთი შენი მთელი შენი გულით

მთ 22,37

„მთელი გულით“: იმ გულით, რომელიც მამამ გიბოძა, იმ წუთებში და იმ ურთიერთობებში, რომლებსაც თავად განკარგავს და უშვებს შენი ნიჭით, შენი გრძნობით და შენი სი-სუსტით. სხვასთან შედარების და ბუზღუნის გარეშე უბოძებ „მთელ“ შენს ცხოვრებას, თავად კი გიბოძებს მთელ თავის სიყვარულს!

23 აგვისტო

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XX კვირა [IV], მწ

წმ. როზა ლიმელი, ქალწული, დომინიკელთა ტერციარი, +1617 ლიმაში

რუთ 2,1-3.8-11; 4,13-17; ფს 127; მთ 23,1-12

კურთხეული არს უფალი *რუთ 4,14*

დედაკაცებმა უთხრეს ნაყომს: “კურთხეულია უფალი!” ეს მაშინ უთხრეს, როდესაც ნაყომი ბებია ხდება. იმედი ჰქონდა გადაწურული, მაგრამ მისი რძალი რუთი, მართალია უცხოტომელი იყო, ანგარიშგასაწევმა კაცმა მოიყვანა ცოლად. უფალი განკარგავს მოვლენებს, რაც არ უნდა პატარად ჩანდეს. კურთხეულია უფალი!

24 აგვისტო

კვირა 2025

რიგითი XXI კვირადღე, «გ», [I], მწ

[წმ. ბართოლომე მოციქული]

ეს 66,18-21; ფს 116; ებრ 12,5-7.11-13; ლკ 13,22-30

იქ იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა ლკ 13,28

უფალმა ინება, რომ კვირის მანძილზე ერთი დღე მისი ყოფილიყო, მუდამ გვხსომებოდა, რომ არ არსებობს მხოლოდ ეს სამყარო, სააქაო, არამედ არსებობს «სხვა» ცხოვრება, რომელიც გველის. როგორი იქნება? თუკი უფლის გზას გავუყვებით, თუნდაც ციცაბო ბილიკებით, მდაბალი გულითა და ერთგულებით, ეს იქნება დაუსრულებელი სასწაული. თუ არა და...

25 აგვისტო

რიგითი ჟამის XXI კვირა [I], მწ

ორშაბათი

2025

წმ. ლუდოვიკე, საფრანგეთის მეფე, +1270 ტუნისში
წმ. იოსებ კალასანსი, ხუცესი, დედა ღვთისას ღატაკთა და ღვთისმოსავ სკოლათა მოწესე მღვდელმონაზონთა ორდენის დამაარსებელი, +1648 რომში

1თეს 1,1-5. 8ბ-10; ფს 149; მთ 23,13-22

ძმანო, ვუწყით კარგად, რომ მან აგირჩიათ 1თეს 1,4

პავლე, სილვანე და ტიმოთე ხელით ეხებოდნენ სულიწმიდის საქმეს: მათი სიტყვებით აღვივებდა სულიწმიდა კაცთა გულებში იესოს რწმენას.
ერთიანი ეკლესიის ლოცვა ღმერთისგან სულიწმიდას იხმობს, რომელიც მწყემსთა სიტყვას სიცოცხლის წყაროდ აქცევს.

26 აგვისტო

სამშაბათი
2025

1თეს2,1-8; ფს 138; მთ 23,23-26

უფალმა ამოიგვალა და მოიგვანდო სახარება 1თეს 2,4

დღევანდელ სახარებაში იესო მკაცრად გმობს მწიგნობართა და ფარისეველთა თვალთმაქცობას და სიხარბეს, თავიანთ მსახურებაში უღირსებად მოიხსენებს. პირველ საკითხავში კი პავლე, მდაბლად აღიარებს, რომ სახარების საუწყებლად იქნა არჩეული. ამიტომაც, არ ეძებს ადამიანურ დიდებას, “მოსიყვარულეა, როგორც დედა საკუთარი შვილების მიმართ”. მადლობა, იესო, პავლეს სადარი მრავალი მწყემსისთვის.

27 აგვისტო

ოთხშაბათი

2025

წმ. მონიკა, წმ. ავგუსტინეს დედა, +~387 ოსტიაში (რომთან), (მ), თ

1თეს2,9-13; ფს 138; მთ 23,27-32

დიაკ. თენგიზ პარმაქსიზიშვილის გახსენება (+2021)

ანუწყვეტლივ ვმადლობთ ღმერთს 1თეს 2,13

პავლე თესალონიკელებს წერს, რომ მა-
რადის მადლობს ღმერთს, რამეთუ მიიღეს
ღმერთის სიტყვა, რომელიც მან აუწყა მათ
და ახლა მათ ცხოვრებაში ხედავს ლოცვის,
ერთიანობისა და გულუხვობის დიდებულ
ნაყოფს. მეც მსურს მარადის ვმადლობდე
იესოს ჩემი და-ძმების სიყვარულისა და მათი
ერთგული რწმენისათვის.

28 აგვისტო

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის XXI კვირა [I]

წმ. ავგუსტინე, ჰიპონის ეპისკოპოსი,
ეკლესიის მოძღვარი, +430, (მ), თ

1თეს 3,7-13; ფს 89; მთ 24,42-51

მიძინება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

მოვა თქვენი უფალი მთ 24,42

“როგორ გავატარო სიცოცხლის ბოლო დღეები?” - შეეკითხა წმიდა ძმა ერთ მღვდელს სულიერი წვრთნების დასასრულს, იცოდა რა, რომ სიცოცხლის ბოლო დღეებს ითვლიდა. “ნეტა იმ მონას, რომელსაც მოქმედს პოვებს მისი პატრონი, როდესაც მოვა”, – მიიღო პასუხად. თვალები გაუნათდა: მშვიდად შეეძლო გაეგრძელებინა თავისი მსახურება იმ მცირე ძალით, რომელიც ჯერ კიდევ შერჩენოდა.

29 აგვისტო

პარასკევი

2025

რიგითი ჟამის XXI კვირა [I]

წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

შენთანა ვარ შენს სახსნელად

იერ 1,19

იერემიამ იგრძნო, რომ ღმერთის სიტყვის მორჩილების გამო, სიცოცხლის დაკარგვის შიში არ უნდა ჰქონოდა, და მიიღო ხსნა. ასევე ღმერთის მორჩილი იოანე, მეფე ჰეროდეს მხილების გამო მოკლეს. მისი სული ღმერთის დიდებაშია: ჯეშმარიტი ხსნით ხარობს!

30 აგვისტო

შაბათი

2025

(17.VIII) წმ. ტბელი აბუსერიძე, XIIIს

1თეს 4,9-11; ფს 97; მთ 25,14-30

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

კარგი, კეთილო და ერთგულო მონავ მთ 25,21

ეს ბატონის საქებარი სიტყვები, ვინც აჯილდოებს იმ მსახურთ, ვისაც თავისი ტალანტები მიანდო. შინ დაბრუნებული, ხედავს იმ მსახურთა სიკეთეს და ერთგულებას, რადგან გულმოდგინედ ირჯებოდნენ მისი ინტერესებისთვის. "მცირედზე" ერთგულებს "მრავალზე" მიეცემათ ძალაუფლება. "მცირედი" – ეს ამქვეყნიური საქმეებია, ხოლო "მრავალი" ზეციერი სამეფოსი: სულიწმიდის საქმეები, ნიჭი და ნაყოფი, რაც ეკლესიას ძმობასა და ერთიანობაში ზრდის.

31 აგვისტო

კვირა

2025

ზირ 3,17-20.28-29; ფს 67; ებრ 12,18-19.22-24; ლკ 14,1.7-14

მეგობარო, წინ ადმოდექი ლკ 14,10

იესოს მოწაფეები ერიდებიან საკრებულოში საპატიო ადგილების არჩევას. გულისხმას ყოფენ, რომ მოყვასს დაუთმონ ბოლო სიტყვა და ასევე, მიიღონ «ყველაზე მნიშვნელოვანი» მსახურება, თუკი მისი შემსრულებელნი არიან. იესოს ძალუძს მათზე ამ სიტყვების თქმა: შენი სიყვარულის ღვაწლის გამო «განგადიდებ» ჩემს სამეფოში, ვაღიარებ შენს მსახურებას, რის გამოც მამა მოგაგებს პატივს.